**დანართი 1**

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2024 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №1-1/498 - ვებგვერდი, 31.12.2024 წ.*

**სამოქალაქო ავიაციის საჰაერო ხომალდებზე მომხდარი სერიოზული ინციდენტების მაგალითების ჩამონათვალი, რომელიც ექვემდებარება მოკვლევას**

ქვემოთ ჩამოთვლილი ინციდენტები არის ტიპიური მაგალითები ინციდენტებისა, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს სერიოზული ინციდენტების კატეგორიას.

სერიოზულ ინციდენტებად ჩაითვლება:

- სახიფათო მიახლოვება, რომლის დროსაც შეჯახების ან სახიფათო სიტუაციის განსამუხტავად საჭირო ხდება გადახვევის მანევრის შესრულება ან როდესაც მიზანშეწონილია წინასწარქმედება გადახვევაზე.

- სიტუაცია, როდესაც ძლივს მოხერხდა გამართული საჰაერო ხომალდის მიწასთან შეჯახების აცილება.

- შეწყვეტილი აფრენები დაკეტილი ან დაკავებული ასაფრენ-დასაფრენი ზოლიდან, სამიმოსვლო ბილიკიდან ან არადანიშნული ადგ-დან.

- აფრენები დაკეტილი ან დაკავებული ადგ-დან, სამიმოსვლო ბილიკიდან ან არადანიშნული ადგ-დან.

- დაფრენები ან დაფრენის მცდელობა დაკეტილი ან დაკავებული ადგ-ზე, სამიმოსვლო ბილიკიზე, არა დანიშნულ ადგ-ზე ან იძულებით დასაფრენ ლოკაციებზე, როგორიცაა საავტომობილო გზები.

- დაფრენისას ფრთების ბოლოების შეხება, ძრავის გონდოლის ან საჰაერო ხომალდის ნებისმიერი სხვა ნაწილის, როდესაც შემთხვევა არ კლასიფიცირდება როგორც საავიაციო შემთხვევა.

- გამოკვეთილი შეუძლებლობა მოთხოვნილი მახასიათებლების მიღწევაზე ასაფრენად გარბენისას ან სიმაღლის აღების საწყის ეტაპზე.

- ხანძარი ან კვამლის გამოვლენის შემთხვევა სამგზავრო სალონში, სატვირთო განყოფილებებში ან ხანძარი ძრავებზე, მაშინაც კი როცა ასეთი ხანძარი ჩაქრობილია ხანძარჩასაქრობი საშუალებებით.

- სიტუაციები, რომლის დროსაც საფრენოსნო ეკიპაჟის მხრიდან საჭირო გახდა საავარიო ჟანგბადის გამოყენება.

- შემთხვევა, როდესაც დარღვეულია საჰაერო ხომალდის ან ძრავის კონსტრუქცია და არ კლასიფიცირდება, როგორც საავიაციო შემთხვევა.

- არაერთჯერადი მწყობრიდან გამოსვლა ერთი ან მეტი საბორტო სისტემებისა, რომლებიც სერიოზულ ზეგავლენას ახდენენ საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციაზე.

- შემთხვევა ფრენისას, როდესაც საფრენოსნო ეკიპაჟი კარგავს შრომისუნარიანობას.

- საწვავის რაოდენობა, რომლის დროსაც პილოტის მხრიდან საჭიროა ავარიული სიტუაციის გამოცხადება.

- არასანქცირებული გასვლები ასაფრენ დასაფრენ ზოლზე, შედეგების სერიოზულობიდან გამომდინარე მიკუთვნებულ კატეგორიას. ინფორმაცია, რომელიც შეეხება შედეგების სერიოზულობის კლასიფიკაციას მოცემულია ასაფრენ დასაფრენ ზოლზე არასანქცირებული გასვლების აღმოფხვრის სახელმძღვანელოში (DOC 9870).

- ინციდენტები აფრენისას ან დაფრენისას. ასეთი ინციდენტები, როგორც ასაფრენ-დასაფრენ ზოლამდე დაფრენა ან ასაფრენ დასაფრენი ზოლის ფარგლებს გარეთ გადასვლა.

- სისტემების გაუმართაობა, საშიშ მეტეოროლოგიურ ზონაში მოხვედრა, დადგენილი საფრენოსნო შეზღუდვებიდან გადასვლა ან სხვა სიტუაციები, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან სიძნელეები საჰაერო ხომალდის მართვისას.

- ერთზე მეტი სისტემის გაუმართაობა სარეზერვო სისტემაში, რომელიც აუცილებელია ფრენისა და ნავიგაციის სამართავად.

- ტვირთის უნებლიე ან განზრახ გადაგდება (როგორც საავარიო სიტუაციაში  გადაუდებელი ღონისძიება), რომლის ტრანსპორტირებაც ხდება საჰარო ხომალდის გარე პერიმეტრზე დამაგრებული საკიდით ან სხვა რაიმე სახის ტვირთი რომელიც განთავსებულია საჰაერო ხომალდის გარე პერიმეტრზე.

- და სხვა ინციდენტი, რაც შესაძლებელია მოკვლევის ბიუროს  მიერ კონკრეტული შემთხვევის დროს მიჩნეულ იქნეს სერიოზულ ინციდენტად.